სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2015 წლის 23 იანვრის ბრძანება №16/01–01** საფუძველზე **ფიზიკის მიმართულებაზე, ქვემიმართულება: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №31/2015 დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი

18 მარტი, 2015 წ.
15:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5–ვე წევრი: 1. ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. არჩილ უგულავა - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ლია ტრაპაიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (კომისიის მდივანი); 4. ანატოლი ახალკაცი - თსუ-ს ემერიტუს-პროფესორი; 5. ამირან ბიბილაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ფიზიკის მიმართულებაზე, ქვემიმართულება: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ფიზიკის მიმართულებით, ქვემიმართულება: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში, I ეტაპზე კონკურსანტმა ყველა პუნქტში მიიღო მაღალი შეფასება. II გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა ნათლად ჩამოაყალიბა მისი ამჟამინდელი სამეცნიერო კვლევებისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივები. ასევე ისაუბრა პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით და კომისის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა. კონკურსანტმა კომისიისგან დაიმსახურა მაღალი შეფასება. გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

მიმართულება – ფიზიკა
ქვემიმართულება – კონდენსირებული გარემოს ფიზიკა
თამარ ჭელიძე – ასოცირებული პროფესორი.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:		ა. შენგელაია
კომისიის მდივანი:		ლ. ტრაპაიძე
კომისიის წევრები:		ა. უგულავა
		ა. ახალკაცი
		ა. ბიბილაშვილი